ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი #63

21 ივლისი, 2021 წელი

14:00 საათი

(კომისიის თავმჯდომარის ოთახი)

2021 წლის 21 ივლისს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. გიორგი ბირბიჩაძე;
2. გიორგი დოხტურიშვილი;
3. ვლადიმერ ძნელაძე;
4. მიხეილ ამაშუკელი;
5. ზაზა მამალაძე.

მოწვეული სტუმრები:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი.

სხდომის დღის წესრიგი:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-14

დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე.

გიორგი ბირბიჩაძემ მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრე წევრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო დღის წესრიგი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა წარმოადგინა ინფორმაცია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"

პროექტის თანახმად, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის მე–3 მუხლით გათვალისწინებულ უსახლკარო პირად რეგისტრაციისა და თავშესაფრით უზრუნველყოფის კრიტერიუმებში. კერძოდ, წესის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტს ემატება ჩანაწერი და მიეთითება, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უწყვეტად რეგისტრაციის ფაქტი გულისხმობს მათ შორის ისეთ შემთხვევებს, როდესაც პირს ამ 2 წლის განმავლობაში შეუწყდა და კვლავ განუახლდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად ის არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში.

ასევე დაკონკრეტდა პირის/ოჯახის უსახლკარო პირად/ოჯახად რეგისტრაციის კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენისათვის სამსახურში შემოსული ინფორმაციის ე.წ. საანგარიშო პერიოდი და განიმარტა, რომ პირის/ოჯახის შემოსავლების დათვლის, საზღვრის კვეთის,დამოუკიდებლად ბინის ან სხვა ფართის ქირის (იჯარის) გადახდის წესით დადგენილი ვადების ათვლის წერტილი შეადგენს კომისიის მიერ პირის/ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიების მომენტს.

ცვლილება შედის ასევე წესის მე-6 მუხლის მე-8 პუნქტში, რომლის თანახმადაც ოჯახის მიერ საცხოვრისით უზრუნველყოფის შეთავაზებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ოჯახის განაცხადი განმეორებით არ განიხილება მომდევნო 2 (ორი) წლის განმავლობაში, რითიც ამ მიმართულებით ოჯახის მდგომარეობა იდენტური გახდა პირის შემთხვევისა.

წესის მე-6 მუხლის მე-10 პუნქტში გათვალისწინებული ცვლილების თანახმად კი, ის ოჯახები, რომლებიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდებიან საცხოვრისით ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალურ თავშესაფართან" ხელშეკრულებას გააფორმებენ 3 (სამი) წლის ვადით, ნაცვლად 2 (ორი) წლისა.

აქვე, საკითხის წარმომდგენმა ითხოვა და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია დაეთანხმა, წარმოდგენილ პროექტში მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და ნაცვლად:

„ზ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, კომისიის მიერ პირის შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ ფიქსირდება ოჯახის არც ერთი წევრის მიერ სახელმწიფო საზღვრის 2 (ორი) და მეტი გადაკვეთა (სახელმწიფო ტერიტორიის დატოვება). გარდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შემთხვევების, მესამე პირის მიერ დაფინანსებულ სასწავლო პროგრამებსა და კურსებში ჩართვის და სხვა სასწავლო-შემოქმედებითი მიზნით სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისა, რაც დასტურდება განმცხადებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენით."

იკითხებოდეს:

„ზ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, კომისიის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ ფიქსირდება ოჯახის არც ერთი წევრის მიერ სახელმწიფო საზღვრის 2 (ორი) და მეტი გადაკვეთა (სახელმწიფო ტერიტორიის დატოვება). გარდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შემთხვევების, მესამე პირის მიერ დაფინანსებულ სასწავლო პროგრამებსა და კურსებში ჩართვის და სხვა სასწავლო-შემოქმედებითი მიზნით სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისა, რაც დასტურდება განმცხადებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენით."

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა წარმოადგინა ინფორმაცია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" კენჭისყრაზე დააყენა:

მომხრე: 5

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

<u>კომისიამ დაადგინა</u>

პროექტები წარმოდგენილი ცვლილებებით განხილულ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — გიორგი ბირბიჩაძე